

საქალაქო

№ 28

ფასი 1 მან.

კვირა 1 ივნისი

1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გ ა ზ ე თ

„საქალაქო ნაკადი“-ზე

გაზეთი გადის ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართულ კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კაფუირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დღის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

საპროგრამო კომისიისაგან.

„ახალ ნაკადს“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ჩვენი კონფერენციის ანგარიში და რეზოლუციები, რომელიც საპროგრამო კომისიის მიერ განხილულ და დანახულებულ იქნა.

საქართველოს რევოლ.-სინდიკალისტ მასშტაბითა პირველი კონფერენციის მიერ არჩეული საპროგრამო კომისია საჭიროდ სცნობს აცნობოს პროცინციელ ორგანიზაციებს შემდეგი:

როგორც კომისიაში გამოიჩინა, ზოგიერთი ორგანიზაცია საჭიროდ სცნობს წერილ ერთეულების არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. კომისია დაადგინა:

თავისუფლება მიენიჭოს ორგანიზაციებს ადგილობრივ პირობათა მიხედვით არჩევნებში მონაწილეობისა.

დღეს, საღამოს 7 საათზე.

ჩვენ კავშირის მუშტადის კლუბში შესდგება

საქ. რევოლ. სინდიკალისტ-მასშტაბით ტუილისის კავშირის საერთო კრება.

ამხანაგებს ვთხოვთ ამ კრებას უგზავლად დაესწონ. მომხსენებელი იქნებიან ბესო ქელებიანი, გიორგი ჯანდიერი, და ალ. წერეთელი.

დღე-ქალაქი 1 ივნისი 1919 წ.

ბნელი ძალე-ბის მუქარა

დღე-ქალაქი 1 ივნისი 1919 წ. დენიკინის გზა-ბნელი შავ-რაზმელთა რაზ-მი საქართვე-ლოს მუქარას უთვლის და ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ „ლანკებითა“ და პავროზლანებით შეჭურვილი სისხლიან მუშტს იშვერს ჩვენ ქვეყნისაკენ. დღეს ყველამ კარად იცის, რა სურს, რა ამოძრავებს და რა ასულდგმულებს ამ შავ-ბნელ ძალას. მისი სურმილია ცეცხლითა და მახვილით გაერთიანოს რუსეთი, მისი მამოძრავე-

ბელია „იდეა“ დიდი რუსეთის აღორძინებისა, მისი მასულდ-გმულებელია ძველის რესტავრაცია, ახალი დამხობა, რევოლუციის გაჩანაგება, ეროვნულ თავისუფლებათა ფეხით გათვლა...

ძნელია, სისწორით წარმოიდგინო, თუ რა მოულოდნელ სიურპრიზებს მიუტანს განაწამებ კაცობრიობას ხვალნდელი დღე, ძნელია სავსებით გათვალისწინება იმისა, თუ რა სახეს მიიღებს საერთაშორისო მდგომარეობა, მაგრამ ერთი რამის თქმა თაბამად შეიძლება, მუდმივი ბრძოლისა და არე-დარე-

ვის გამო ხალხის ფართო მასა დიდ სულიერ მოქანცულობას განიცდის, და ეს ის ნიადაგია, რომელზედაც შეუძლიათ ავანტიურისტებს შექმნან დროებითი მეფეება თავისი ძალმომრეობისა და პირსისხლიანი ბატონობისა.

ჩვენი მოვალეობაა ნათლად და გარკვევით დაუმტკიცოთ ყველა ცოცხალ და მოძრავ ელემენტს, რომ დღეს რევოლუციისადმი ინდიფერენტუზ-მი, მისი მსვლელობისადმი გულ-გრილობა მიუტოვებელი დანაშაულია. გზას ამცდარია ის, ვინც ზეიქრობს, თითქოს რევოლუცია წინასწარ განსაზღვრული კალაპოტით უნდა ვიდოდეს და თუ ამას არ ხედავს, დამფრთხალი გარბის ბრძოლის ველიდან. იმ დიდ, ბუმბერაზულ მომენტში. როდესაც უღრმესი ნგრევა აღვიდის უთმოხს უძლიერეს შემოქმედებას, ყოველთვის ექნება ადგილი ბრძოლას, შეტაკებას. მაგრამ თვით სი-ლიადე ამ მომენტისა სწორედ ამ მოძრაობაშია. ამით ჩვენ იმით მივმართავთ, ვინც ყურებს ჩამოყრილი და ილაჯგამოღლეული მზად არის რევოლუციას გვერდზე გაუდგეს.

დღე, იცოდეს ყველამ, რომ დიდი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

დღეს ქართველ მშრომელ ხალხს თავისუფალ საქართველოში უნდება თვისი პოზიციების დაპყრობა და გამაგრება და თუ შავი ძალა ჩვენს განადგურებას ლამობს, ჩვენი პასუხი მხოლოდ ერთი იქნება:

ხელები შორს კაცობრიობის ბოროტო შეილნო, ჩვენ შევძლებთ თქვენი ბინძური ზრახვების აღადგმას და დაგიმტკიცებთ, რომ რევოლუციას არ სძინავს...

საგადასმარო მომენტები

საქართველომ ეროვნული თავისუფლება მიიღო რუსეთის კომუნისტური რევოლუციით, რუსეთის კომუნისტებს ომი გამოუცხადა მთელმა მსოფლიო იმპერიალისტებმა, მათი ხელმძღვანელობით ამოძრავდნ ძველი წესწყობილების მომხრე რუსეთის შავი რეაქციონერები მეორე წელიწადია ცეცხლით გარშემორტყმული იბრჭებს რუსეთის კომუნარები, რითაც რუსეთის კომუნარებმა თავისი გმირული ბრძოლით დაუმტკიცეს მსოფლიო იმპერიალისტებს, რომ თავზე ხელადე-

ბული პროლეტარიატის და ლათაკი გლეხკაცობის დამარცხება არც ისე ადვილია, როგორც მათ ჰგონიათ. ამასთანავე რუსეთის კომუნარებს თანამომენი აღმოუჩნდნ იმპერიალისტთა მყუდრო ოჯახში. ამ გარემოებამ უკანასკნელათ ამოძრავა ბურჟუაზიის შავი ძალები. მათი გადაწყვეტილებაა სანამ საკუთარ სახლში სოციალისტური რევოლუციის ცეცხლის გრივალნი დაიძროლებს, მანამ სურთ მოსპონ მისი ახალი აკვანი წითელი მოსკოვ-პეტერბურგი და ის ადგილი, სადაც მათი გავლენა მკირველ ამჩნევია.

ჯერ საქართველოზე და ამიერ-კავკასიაზე მიმდგარი, ტყვილი და ბავშური შეცდომაა იმ უსუსური პოლიტიკ-ეკონომისტების მტკიცება, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო მდიდარია სხვადასხვა მადნეულობით დიდ ინტერეს შეადგენს ინგლისათვის მისი თავისუფალი არსებობა.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, არამც თუ საქართველოს სიმდიდრე თუ ინგლისში და მისმა ამქრებმა არ ჩაქრეს რუსეთის რევოლუცია საკუთარ ოჯახში დაედუბებათ დიდიხის ნაღველი და თუ რუსეთის რევოლუციას ბოლო მოუდეს, შემდეგ მათთვის დიდხობით უზრუნველ ყოფილი იქნება თავის მყუდრო ოჯახში და ჩვენთან ერთად ადვილათ გასთვლავნ მთელ რუსეთს და სხვა მრავალ ერთეულებს. ეს უნდა იცოდეს ქართველმა პროლეტარიატმა, ლათაკ-გლეხ-კაცობამ და საქართველოს გულწრფელმა შვილებმა.

მოვლენის სრული ამ შეგნებით საქართველოს ორქოფ მთავრობას მოსთხოვოს გადადგას მტკიცე და გაბედული ნაბიჯი, დადგა დრო აუცილებლობის, სადაც აღგენილი უნდა იქნას რევოლუციის საერთო ფრონტი და საერთო შეტევა უნდა ვაწარმოვოთ ბნელ რეაქციონერებთან საქართველოს თავისუფლება აჩუქა რევოლუციამ და საქართველომ მის დაცვისთვის უნდა გასწიროს ყოველივე. ამ საქმის სისრულეში მოყვანა და მისი საქმეთ ქცევა შენ გეკუთვნის, შენ ქართველომ მუშავ და ღარიბ გლეხ-კაცობა, შენ უნდა დაიმორჩილო შინაური შენი მრისხანე ხმით და შენ უნდა დაამარცხო გარეშენი შენი მძლავრი მკლავებით დადგა დრო, სადაც შენ უნდა გადასწყვიტო, რომ ამიერიდან საქართველო შენია შენვე უნდა დაიცვა და შენვე უნდა გაკუთნოდეს.

სინდიკალისტი

მზარა მოლოდინები

რუსეთში სოციალისტური იდეების განვითარება-გაძლიერებამ ბუნებრივად გამოიწვია მოწინააღმდეგეთა გაჩენა, რომელთაც ეს იდეა უფსკრულ სამარეს უშვადებდა. თუ რევოლუციის პირველ დღეებში ბურჟუაზია და მონარქისტები სოროგებში დაიმაღლნ, სამაგიეროდ მერმეთ რევოლუციის პროცესის „დაწყნარების“ შემდეგ ისინი აშკარათ დიარაზ-მენ რევოლუციის და სოციალიზმის წინააღმდეგ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს მას.

თანდათანობით რუსეთის რევოლუცია დაიქსაქსა, რევოლუციონური ძალები გაიყო და ამით რევოლუციის მტრებს საშუალება მისცეს რევოლუციის ნაწილობრივად შებრძოლებოდნ და ამით ერთგვარი დახმარება გაუწიეს მონარქისტების იდეოლოგიებს დენიკინ-კოლჩაკს და სხვებს. ეს არ ითქმის მხოლოდ რუსეთის კომუნისტურ პარტიის შესახებ, რომელიც რევოლუციის საფრთხეს შორიდან უტყვრტდა და მოუწოდებდა სოციალისტურ პარტიებს ერთად, ერთი ფრონტით შებრძოლებოდნ მონარქიზმ-იმპერიალიზმს და ერთხელ და სამუდამოდ მოესპათ ის. მოლაღატე სოციალისტებმა არ ისმინეს ქეშმარიტება, მათთვის „რევოლუციის გაღრმავება“ მინისტრ-კომისრების პორტფელების დაქვარაში გამოიხატა. ამ ლალატში თუ კი მუძღვის ვინმეს ბრალი, ამაში უპირველთაგანი საქ. სოციალ-დემოკრატია. მან გათიშა რევოლუციონური ფრონტი, იმპერიალისტების ლაქიობას მიყო ხელი, სისხლის მწოველ მტრებს საქართველოსას ბანკეტები უმართა და რევოლუცია კი მიადინა. დღეს საქ. სოც.-დემოკრატის „ხაზინები“ ევროპის იმპერიალისტები თავის „ლაქიებს“ ებრძვიან დენიკინის სახით, მაშინ როდესაც საქართველოს დემოკრატიის საუკეთესო შვილები იქ სისხლს ღვრიან, ამ დროს საქართველოს მთავრობა იმავე საქართველოს შვილების მომსპობ იარაღს საქართველოს ტერიტორიაზე ატარებს რა არის ეს ესეთი მოქმედება. ნუ თუ ამაზე მეტს სამსახურს დენიკინს სხვა ვინმე კიდევ გაუწევს? როდესაც დენიკინმა საქართველოს შემოუტია, აქ შემოტევა იყო საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ ეს ომი ტერიტორიულ ომით მიიღო და ამ ტერიტორიის დაბრუნებით დაკმაყოფილდა.

დენიკინი საფრთხეს უშვადებს მთელ რუსეთის დემოკრატის, მთელ მის სოციალისტურ ნაწილს ამიტომ შეტევა უნდა ყოფილიყო სოციალიზმის

სახელით. ჩვენი მიზანი გავრის ოლქის დაპყრობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მოსპობა დენიკინის რევოლუციური ძალისა. ჩვენმა მთავრობამ საშვალეობა მისცა დენიკინს გაძლიერებისა, ვეროპის იმპერიალი-სტებმა ის ჯავშანში გამოხვეცს და დღეს კი მისი დამარცხება ისე ადვილი აღარ არის როგორც იქნა იყო. დღეს თუ დენიკინმა მთელითა რესპუბლიკა მოსპო, ხვალ ამასვე უშვადებს საქართველოს დემოკრატიას, ადვრბაილჯანის პროლეტარიატს და სომხეთის დემოკრატიას.

ადვრბიჯანის ბეგების მთავრობა არცინათ ზის დენიკინი მას არ აზინებს, არა იმისთვის, რომ დენიკინი მას ვერაფერს დააკლებს, არამედ იმიტომ რომ დენიკინს და მათ ერთი მიზანი აქვთ, ეს არის სოციალისტების გაუფლტა და კერძოთ კი ბაქოს პროლეტარიატის მოსპობა. მაშინ, როდესაც მოხალისეთა გენერალი ტრდელი მთავრობის მიერ გამართულ ბანკეტზე ამბობდა ადვრბიჯანის სამხედრო საქმეები დენიკინის ხელში უნდა გადაეცემს და ბაქო უნდა შეიქმნეს მთავარ ბაზათ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათაო, რა უბასუხა ადვრბიჯანის მთავრობამ? არაფერი. სიჩუმე ხომ თანხმობის ნიშანია და თუ იქ ბაქოში პროლეტარიატს მოსპობენ განა საქართველოს დემოკრატიას ხეირს დაუტოვებს? ცხადია დენიკინი საერთო საფრთხეა დემოკრატიისა, დენიკინი საფრთხეს უშვადებს დამოუკიდებლობას კი არა, არამედ სოციალიზმს და მის აწინდელ განვითარებას. დროა საქართველოს მთავრობამ დაანებოს თავი „ლაქობას“, დროა ხელი გაუწოდოს ბაქოს და სხვა ნაწილების პროლეტარიატს და საერთო ძალით შეებრძოლოს შავ-რეაქციას. თუ მდგომარეობა ასე გაგრძელდა, ამ შემთხვევაში თუ დღეს დენიკინი ბაქოს ექადნება, ხვალ თფილისს დაეპყრება.

იტოროს საქართველოს დემოკრატიამ თორემ მის ვითომდა მესვეურთ ამა რა უქირით დღეს აქ არიან ხვალ იქ იქნებიან.

დათიკო ვ.

ბრძოლა უფლებებისათვის

დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა რკინი გზის მოძრაობის დარგის მოსამსახურეებმა, შესძლეს და აიძულეს მენშევიკური მოძრაობის სექცია, რომელმაც თავის მხრით თვენახევრის მზადების შემდეგ საზოგადო კრებას თავისი მოხსენება გაუკეთა. აღსანიშნავია ერთი რამ, მენშევიკები ამ მოხსენების გაკეთებას არც კი აპირებდნენ და ისე „ზები-რად“ აპირებდნენ ახალი სექციის არჩევნებს, მაგრამ ჩვენი ამხ. აღ. იოსელიანის ბრძოლამ უნაყოფოდ არ ჩაიბრა და რევოლიუციონერ სინდიკალისტთა ფრაქციის კატეგორიული მოთხოვნა საზოგადო კრებამ მიიღო ჩვენი ფრაქციის მიერ წაყენებული რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა კრების გადადგმას და ძველ სექციისგან მოხსენების გაკეთებას!

მენშევიკები იძულებული შეიქნენ დათანხმებოდნენ ამას და მაშინ სექციის წარმომადგენელი ნინუა კრებას შეპირდა ორ-სამ დღეში მოხსენების გაკეთებას, მაგრამ სწორედ თენახევარმა გაიარა და ბ. ნინუას მოხსენების შესახებ არა ისმოდა-რა!

როგორც იქნა აღსრულდა და ოცდა ერთ მაისისთვის გამოაცხადეს კრების მოწვევა. ტენიკურ გამკარგულებელ ნაწილში მრავლად მოიყარა თავი მოძრაობის დარგის მო-

სამსახურეებმა, ყველა მომსვლელთაგანი ნათლად გრძნობდა სიდიადეს მომენტისას და სწორედ ამით აიხსნება რომ მოძრაობის დარგის მოსამსახურეებმა საუცხოო დენტლემენობა გამოიჩინეს და კრების წესრიგი უაღრესად წესიერად ჩაატარეს. სწორედ სრულ პირველ საათის ნახევარზე დაიჭირა თავმჯდომარე ურუშაძემ თავისი ადგილი, რომელიც მან ღირსების მიხედვით ჩაატარა, ხოლო მდინად მენშევიკებმა დაასახელეს ახალგაზრდა მეოსანი „ობოლი მუშა“ თავაძე...

ოდნავი პაუზა და... მოხსენებით გამოვიდა ნინუა... ნინუასგან დარბაზი და ფრაქციები მეტს მოელოდნენ მით უმეტეს, რომ ეს მოხსენება ნაყოფია იმ შინაგანი პარტიული ბრძოლების, რომელიც უკანასკნელი სექციის კრებიდან დაიწყო და დღეს უნდა საზოგადოების დიდი ლოდინის შემდეგ მოესმინა.

ლოიდ-ჯორჯის. ვილსონის და კლემანსო ამბობს მომხსენებელი ნინუა, ეს საუკეთესო ხელმძღვანელებია მსოფლიო პოლიტიკის, მაგრამ იმათი პოლიტიკაც კი ხშირად მარცხით თავდება და რა გასაკვირია დამარცხებულიყო პოლიტიკაც თქვენი პატარა პროფესიონალური სექციის!

ამის შემდეგ იგი აღნიშნავს იმ მოვლენასაც, რომ „ჩვენ ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმა მაინც მოვხერხეთ“, ეს ყოფილა მომხსენებლის აზრით აი რა, რკინის გზაზე მეტად გავრცელებულია და სწრაფად განვითარებული ქართული ენა, რასაც მეტად დაუფეთებია სექცია და მინისტრისთვის უთქვამთ შეეჩერებია აუკვეება სამშობლო ენის რკინის გზაზე (ეს დებეა ბ. მინისტრის უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა), რომოდენივე თხოვნაც გაურჩევიათ, ნდომებით აგრეთვე კულტურული განვითარებაც მოეცათ ჩვენთვის, მაგრამ ამისთვის ხელი შეუშლია სომხეთ-საქართველოს ომს, ერთი კი მაინც მოვახერხეთო, ეს ის არის რომ ჩვენ და ჩვენმა პოლიტიკამ შევძელით და დაშნაკლები დავითხოვეთ სამსახურიდან! დედა აზრი ნინუას მოხსენების არსებითად ასეთი იყო.

შეკითხვები არავის მიუცია. ფრაქციებიდან საპასუხო სიტყვით გამოვიდა კომუნიკტი ელბაქიძე, ძლიერი კრიტიკის ქვეშ გაატარა მან მოხსენება სექციის ყოფილი თავმჯდომარის მრავალ დეფექტებზე მიუთითა მას, მთელი სისუსტე გაუთვალისწინა კრებას სექციის მოქმედების და აღნიშნა ფაქტი რომ, ნექციის არსებითად არაფერი გაუკეთებია, რის გამოც იგი ვერ იღვა თავის სასურველ და ჯეროვან სიმაღლეზეო! რევოლიუციონერ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის სახელით გამოვიდა ამხ. აღ. იოსელიანი, რომელმაც ჩვეულებრივ მხატვრული ენით, ფართოდ გადაშალა საზოგადო კრების წინ უმოქმედობა სამართველოს მოძრაობის სექციის და საშინელ კრიტიკის ცეცხლში გაატარა ის არა სასურველი კულისების უკანა ბრძოლა, რომელსაც აქაური მენშევიკები განიცდიდნენ. „ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო და ვილსონი ეს ხომ ხელისხლიანნი იმპერიალისტები ბელადებია, სთქვა ამხ. იოსელიანმა, რომელნიც სდგანან რა პროლეტარების შურის ძიების ბნელ გზაზე სრულის შეგნებით ათასობით სისხლში აღრიზებენ შრომელი ხალხის შვილებს და თუ ისინი მაინც განიცდიან მარცხს, ეს უეჭველად უნდა მიეწეროს სოციალურ რევოლიუციის განვითარებას, რაიც მსოფლიო მუშათა კლასს უეჭველ გამოსავლად მიანიჭა ამ დროს და

შეადარება იმისი, რომ სექცია სუსტი იყო და კულში ვერ გაყვა კლემანსოს და ჯორჯის პოლიტიკას აქ სრულდებით მოსატანი არ არის და უადგილოაო. განდევნა სომეხ მოსამსახურეთა ვითომ დაშნაკლების სახით ყოვლად მიუღებელი და შეურაცხყოფელი ფაქტია. ტყვია და თვით დათხოვნის დებეა არ გულისხმობენ „დაშნაკლებს“ არამედ სომხების ბრძოლა წინააღმდეგ ქართული ენისა—ესეც აბსურდია სთქვა ამხანაგმა იოსელიანმა, თქვენ, ან სთქვათ უნდა, რომ თქვენ ნაციონალისტები ხართ, ან და ჩვეულებრივ ორკოფ პოლიტიკაში გაატარათ დღენი თქვენი. დაახლოვებით ასეთი იყო ამხანაგ იოსელიანის სიტყვა. მის სიტყვას მქუხარე ტაშით შეხვდა დარბაზის შემდეგ მენშევიკებიდან გამოვიდნენ ჯინჭარაძე და სხვები. სინდიკალისტებიდან მოხდენილი პასუხი გასცა ამხ. დავით დედარიანმა, მის სიტყვამ საუცხოოდ მოიგვრია მენშევიკების იერიშები.

დასასრულ პასუხით გამოვიდა ისევ ნინუა, რომელმაც ყველაფერზე ილაპარაკა გარდა სექციის მოქმედებისა და მუშაობის, დიდხანს შეჩერდა კომუნისტებზე, ფედერალისტებზე და ასე გასინჯეთ ისიც კი სთქვა: თუ თქვენ უფრო სერიოზულად არ მოექცევით საკითხს და მხარს არ დაუჭერთ ჩვენს პოლიტიკას, ამა მითხარით უხალხოთ რა შეუძლიანთ ნინუასა და ჟორდანისს. კამათი დასრულდა შემოვიდა წინადადებები—სინდიკალისტების, რომ ნდობა არ გამოცხადებინათ სექციის გამგეობისათვის, კომუნისტების თითქმის იგივე და მენშევიკების, რომელიც „შექმნილ გარემოების მიხედვით დასტურდება“ და სხვა. პირველმა მიიღო 23 ხმა, მეორემ 8 ხმა, მესამემ 63 ხმა. გადაწყდა კენჭის ყრა დილით დაწყებულიყო და ყუთი განყოფილებებში ჩამოეტარებინათ. სრულ თერთმეტ საათზე ყუთი გაიხსნა, შედეგი ასეთია: რევ. სინდიკალისტებმა და ფედერალისტებმა გაიყვანს ორი, კომუნისტებმა ორი და სამი მენშევიკებმა. ამგვარად მენშევიკური პოლიტიკა მუშათა კლასმა ბოლოს მაინც გამოაკვია...

ნუ რაგადა.

ურთიერთმოძრაის პასუხისმგებლობა და სოლიდარობა მუშათა კლასის ბრძოლაში*)

„კმაყოფილება ყველასათვის; (მ: ნეტალუდან.)
უეჭველი ქეშმარიტებაა, საესებით, ნათლად, გარკვევით და ღრმა შემეცნება, წარმოდგენა თავისუფლების და სოლიდარობის განუყოფლობაზე, მათ მთელიანობაზე, აუცილებლად და სრულიად საუღლებლოა ყოველივე შეგნებული ადამიანისათვის.

უეჭველია აგრეთვე, რომ ადამიანები აღჭურვილნი ამ დავარი სწორი ნამდვილი შემეცნებით, რასაკვირველია უფრო ადრე და მტკიცეთ შეითვისებენ ყოველივე ჩვენი მსოფხედველობას. ეს დებულება უნდა იქნეს აღიარებული ძირითად საფუძველად, საცდელ გრდემლად საშვალეების და მოძრაობის ტაქტიკის გამოკედვის დროს. ბრძოლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ძირითად მოთხოვნილებებს. მაგრამ, სანამ გადავიდოდეთ შემდეგ განმარტებაზე, საჭიროა აღვნიშნათ ორი უმთავრესი კითხვა, რომელთა გადაწყვეტაში და აღსრულებაში მე ერეტკათ გაზოგვიდვარ გამეფებული ეკონომიური მხედველობის და ტრადიციის შესახებ.

(იხ. „ახ. ნაკ.“ № 26 *).

ჩემი შემდეგი განმარტებანი და დასკვნები გამომდინარეობს ამ ორ კითხვებიდან—დებულებიდან. პირველი კითხვა ეხება საზოგადოებას ან-და-გვრედ წოდებულ მომხმარებელ საზოგადოებას, რომელთა მნიშვნელოვან რაობს მუშათა მოძრაობაში ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული. ჩვენ ვიცით, რომ მუშები და ხელოსნები ორგანიზაციულად ირანხებიან პროფესიონალურ ანუ სინდიკალურ კავშირებში, რათა მთლიანი რკინისებულ ძალებით მედგრათ შეებრძოლოს შრომის ბატონ-კაპიტალის ეკონომიურ მონობის დასაოფწად. არც კაპიტალისტებს სძინათ: ისინიც კავშირდებიან ადგილობრივით; უზუნა-ესი მათი კავშირი კი კაპიტალიზმის ორგანიზაცია არის სახელმწიფო-და-უძინებელი მტერი მუშათა კლასის მოძრაობისა.

რაც შეეხება მომხმარებელ საზოგადოებას ამ შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივად წარმოდგენენ შეუყავშირებელ მასსას და არც სცდილობენ შემოშვანონ ისეთი წესები და დებულებები, რომლის საშვალეობითაც შეიძლებოდა თავიანთი ინტერესების დაცვა იმ მოსაზრებით, რომ მიიღონ კარგი ნაწარმოები და პროდუქტები ძლიერ დაბალ ფასებში. ამანარად თუ კაპიტალისტები მარცხდებიან მუშათა კლასთან ეკონომიურ ბრძოლაში, სამაგიეროთ ისინი სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ეკსპლოატაციის საშვალეობით იგივე მუშათა კლასის წინააღმდეგ მწარმოებელ და მომხმარებელ საზოგადოებასთან კი სულ სხვა სახით და სხვა პოზიციაზე.

რასაკვირველია კაპიტალისტები ყოველივე ღონეს ხმარობენ ჩვეულებრივად დაიბრუნონ ძლიერი ეკსპლოატაციის საშვალეობით ესე იგი ნაწარმოების, და სანოვარის და საქონლის ფასის დაუსრულებლივ აღმატებით.

ამ მხრით მათი უძირო მუცლის წყაროს წარმოადგენს თვით მწარმოებელ უშეუყავშირებელი მომხმარებელი საზოგადოება. ი, რაც კაპიტალისტებმა იძულებით დაუთმეს მუშებს გაფიცვის, და შეთქმულების შემდეგ ათჯერ და ასჯერ გადიდებულ თანხად უბრუნდებთ კაპიტალისტებს; ცხადია ისინი ამ ნაზარდ კაპიტალს მომხმარებელ საზოგადოების ტყავზე იღებენ. ცხადია ისიც, რომ მუშები კაპიტალთან ბრძოლაში იგიწყებენ იმ საშვალეებს, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველია. ეს გარემოება კაპიტალისტებს მხარს უმაგრებს და საბაბს აძლევს მაქსიმუმიდის ასწიოს ფასი ნაწარმოებზე ან და მიწოდოს მომხმარებელ საზოგადოებას ნაკლები ღირსების პროდუქტები, რომლის დამზადებაში ის სულ მცირედ კაპიტალს ხარჯავს ამანარად, ჩვენ გხედავთ რომ მომხმარებელი საზოგადოება, მუშები და ბოგანო პროლეტარები და არა კაპიტალისტები იხდიან თავიანთი ჯიბიდან ყოველივე იმ ფულის ჯამს; რომელიც ბრძოლით ჩამოგლიჯეს კაპიტალისტებს მებრძოლმა მუშებმა.

ესლა იზადება კითხვა: ვისგან შესდგება საზოგადოება?

ცხადია, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა საკმაოდ შეძლებული, მდიდარი და ამავე დროს პარაზიტთა ექსპლუატატორთა, სახელმწიფო კაპიტალიზმის მუქთა-ხორო მოხელეთა და სისხლის-მწოველთა კლასებისგან.

მათთვის საქონელის გაძივრებას ნაწარმოებზე ფასის აწევას არ აქვს მნიშვნელობა და არც დიდი ცვლილებას ახდენს მათ ფუფუნებრივი ცხოვრებაში, რადგანაც ბურჟუაზიული ნაწილი საზოგადოებისა თავისი მკრელი იარაღით ექსპლოატაციით მო-

გროვილი სიმდიდრეს დაუშრეტელი წყაროს გამო ვერ გრძნობს ამ სწრაფი შევიწროებას. ფაქტი თვალისა გვაქვს. აი თუ გინდ საქართველოს რესპუბლიკაში, როგორი დიდი სიმდიდრე მათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა შეიცვალა? ანაწილად და? არა და ათასჯერ არა; მე ბრმა არ ვარ და სხვა ნაირად მხედველობა არ შემძლია.

ყოველივე შეიცვალა, მაგრამ სხვა ფერით შინაარსი იგივია, რაც ახასიათებდა ისტორიის დასაბამიდან დაწყებულ საუკუნოებს—**მონობა ყოველი სახისა, ფორმისა და შინაარსისა**: ამანარად მუშა-პროლეტარი იგივე მუშად დარჩა ილაჯ გაწყვეტილი „შეშველ ტიტველი. მათი წვრილი ცოლშვილი ქუჩაში ყრია ნელი და შეუშნევლად უღმობელი ნენი და კაპიტალიზმის შავი ჟანდარმერია—სამღვდელოება წყველითა და კრულვით მიწაში აგზავნის. ეს მაშინ ოდეს ბურჟუაზია მთვრალი მუშათა სისხლით ხარხარობს და სიამოვნებით დასცინის პროლეტარიატის უკვე წარმოებულ რევოლიუციებს, რომელშიაც იმათმა მუშათა კლასის მოტყუილებით გაიმარჯვეს.

ჩვენ ჩვენს ანალიზში ბურჟუაზიასა და კაპიტალისტთა კლასს, რომელიც შეადგენს ერთ ნაწილს საზოგადოებისას, დავსტოვებთ გარეშე.

მეორე და უფრო დიდ ნაწილს საზოგადოებისას შეადგენს ლარობ-ლატანი, შიშვლით ფერდებ ჩავარდნილი, ყოვლის შემოამქმელი და არაფრის მქონე მუშები. მათთვის ნაწარმოებზე საქონელზე და სანოვარებზე ფასის მომატება ნიშნავს არსებობისათვის აუცილებელი ხარჯების შემცირებას, და ხშირათ კი სრულ განადგურებას. გაფიცვებით და ამბოხებით ოპოვებული ეკონომიური გაუმჯობესებანი ფუქად რჩება.

თუ წინად მუშის ხელფასი ცოტა იყო, სამაგიეროთ საქონელის ფასიც ნაკლები იყო. თუ დღეს მუშის ხელფასმა ასჯერ გადიდდა, სამაგიეროთ კაპიტალისტებმა აამუშავეს თავიანთი მანქანა ექსპლოატაცია და საქონლის ფასი ორასჯერ მეტად. წინანდელზე გადიდა. ამანარად მუშის ხელფასის მომატება და ნაწარმოების ფასის გადიდება პირდაპირ პროპორციანა-ლურია. ერთი სიტყვით მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა არსებითად უცვლელი, რჩება.

მიუხედავით ამის მრავალი მუშები გულითადი—ნამდვილი სოციალისტები—დღის ალტაცებით, შეუშინებლად მიათრევენ თავიანთი ზურგით ახალი ეკონომიური მონობის უღელს, რადგან იციან, რომ ის არის შედეგი ამხანაგი მუშების ბრწყინვალე გამარჯვებისა. დანარჩენი ნაწილი კი მაშვრალთა კლასისა, აღჭურვილნი სიმაართლისადმი სიმაპატიით და სიყვარულით, თანაუგრძნობენ რა მუშათა მოძრაობას. მზად არიან აიტანონ მძიმე პირობები. ტყვილა კი არ გამყარებთ ჩვენ ჩვენს იმედებს საუკეთესო ბრწყინვალე მომავალზე.

გ. ჯვარიშვილი.
(შემდეგი იქნება).

ისაზ „დაწვრიპები“.

(წერილი ჯარისკაცისა).

ყველას, ვგონებ, ახსოვს ის „ნეტარი ხანა, როცა რევოლიუციის პირველ წელში არსებულმა დროებით მოაგრობამ კერესკის თავმჯდომარე გააუქმა „ინსტიტუტი დენშევიკებისა“, მაგრამ კანონი კანონათ რჩებოდა და „ინსტიტუტი დენშევიკებისა“ კი ფაქტიურად კიდევ დიდხანს არსებობდა, სანამ თვით ამხანაგ ჯარისკაცების „ძირიან ფესვიანათ“ ფარინიციტიზმა არ აღმოფხვრა.

ამ სამწუხარო მოვლენას—, ინსტიტუტს დენიკეებისა— დღესაც, ჩვენს სამწუხაროდ საქართველოში ადგილი აქვს, და თუ ძველათ აფიცერი ერთი „დენიკეით“ კმაყოფილდებოდა, დღეს ორი-სამი კი ყავთ!

ნუ თუ საქართველოს „სოციალისტურმა“ მთავრობამ არ იცის, და თუ, იცის სადღა ზომები მის აღმოსაფხვრელად?— ამხანაგებო ჯარისკაცებო, ხმა აღიმართეთ, და მოითხოვეთ მისი მოსპობა ეს სამარცხვინო მოვლენა ჯარისკაცებისადმი, ლაქიობა ჯარისკაცთა— მოქალაქეთა, რომელნიც მოწვეულნი (არაიან რევოლუციონერ მოწვეულნი) არიან რევოლუციონერ სამშობლოს დასაცავად და არა, ლაქიის როლის შესასრულებლად! ძირის ლაქიობა ჯარისკაცისა.

ტყის პირელი.

იქ, მაღლობზე!

ძღუნად შიშ არაგვისპირელს მაისის იუბილის გამო)
შენ დაღერედილი იყავ...
წარსულის მოგონებას გაეტაცე...
ნაღვლიანად სტიროდი...
იცრემლებოდი...
ახლოს ვერ მოვედი...
მეცხე დატოვე...

ისევ შეგვხვდი...
კვლავ წარსულზე ოცნებობდი...
ახლოს მოვედი და გთავი...
გთხოვე რაიმე გემო ჩემთვის და
შენც სევდიანად გამოერკვიე...
გთხოვე დაგეწყო...

ეს მაშინ იყო... წარსულში...
ერთ სევდით დასერილ ქვეყანაში
სცხოვრობდა ერთი ეული, ობოლი
ჭაბუკი...

ის მარტოდ, ობოლად სცხოვრობდა
და არც არავინ იცოდა მისი არსებობა...

ჭაბუკს ხელთ ეყრა სალამური—
დადიოდა მაშვრალთ უბნებში და სე-
ვდით მოკულ ქონსახებთან თვის სა-
ლამურს აკენესებდა,
აღრემლებდა...

ჭაბუკის სალამურის ხმა ყველა მა-
შვრალს გულს სწვდებოდა და ყვე-
ლას აქვითინებდა...

ჭაბუკიც დაეყვაცდა...
მისი სალამურის ხმაც მძლავრი შე-
იქმნა და ის მთელ მსოფლიოს მოე-
დო...

ჭაბუკის არსებობა ყველამ გაიგო...
და მაშინ, როცა ჭაბუკმა პირვე-
ლად სალამური აიღო ხელში, ის ავი-
და მაღლობზე და იქ ნარგიზი და-
გო იზრდებოდა ჭაბუკი...

და ნარგიზიც იზრდებოდა...

მაღლობზე გადმოდგარი ჭაბუკის
სალამურის ხმა მთელ ქვეყანას წვდ-
ებოდა...

მოღალულ მოქანცული ჭაბუკი მი-
დიოდა ნარგიზთან და იქ მის ძირას
შეებას ეწეოდა...

ხალხიც მიდიოდა იქ და უსმენდა
ნარგიზთან მჯდარ ჭაბუკის სალამუ-
რის ხმას...

გავიდა ხანი— ჭაბუკსაც ქალაქა შე-
ებარა...

გადაშლილი ნარგიზი ამაყად გად-
მოსცქერის მაშვრალთა უბანს...

და ქალაქი კვლავ იქ ზის, მაღ-
ლობზე ნარგიზის ძირას და მის სე-
ვდიან სალამურს დრო გამოშვებით
აქვითინებს...

და დღეს, მაშვრალთა უბანს შეი-
ლები იქ მიდიან, მაღლობზე, ნარგი-
ზის ძირას...

ქალაქი ისევ იქ სდგას მაღლობზე
სალამურით ხელში და მაშვრალთა
კერას დასცქერის...

მე დავასრულე...
შენ შემოგხვდე...

შენს სევდიან სახეს ღიმილი სტუ-
მებოდა...

მეც გავიღიმე...
და ორთავემ იქ, მაღლობისაკენ
დავიწყეთ სტეპა...

გ. სევდიშვილი.

10 მაისი 1919 წ.
ქ. ოზურგეთი

გაზაფხული

(მოწვევის ლექსი)

გაზაფხულდა, გასაფხულდა...
ჩიტო ქიკიკი ამკომს პარს...
მეც შევტრფი გაზაფხულსა,
იუ დაიმგვრით კახარებს;
იუ იმეფებს სიყვარული,
იუ მშრომელი ანეტარებს;
იუ შესწყდება მაშვრალთ ტანჯვა;
იუ ავღარი გადხდარებს.
მეც შევტრფი გაზაფხულსა,
ის მზე ჩემს გულს გაახარებს.
ხოლო რადგან ნისლი ფარავს
ამ ქვეყნიურ ნათელ ძალსა,
მე ვერ გიმღერ გაზაფხულო,
ვერ გიღვრილი ტრფობის გულსა.
პართენ ზოკერია.

განიშნავი ჯარისკაცის
სმუკარბიდან.

დღევანდელი პირობები ჯარისთვის
თანდათან აუტანელი ხდება, თუ მი-
ვიღებთ მხედველობაში იმ გარემოე-
ბას, რომ ჯარი დღეს გულწრფელად
და თანაც მეტის მიყვარულით ეკი-
დება სამშობლო მხარის დაცვის საქ-
მეს. უნდა აუცილებლად მთავრობა-
საც ესმოდა ეს მათი გულისტკივი-
ლი და თავდადება სამშობლოს წინა-
შე და ყოველგვარ ზომებს ხმარო-
ბდეს ჯარის პირობების გასაუმჯობე-
ლებლად. მაგრამ საუბედუროდ ეს ასე
არ ხდება და ჯარი დღესაც რამდე-
იმე გამოწვევას განიცდის, თითქმის დღეს
გაქირვებას განიცდის, როგორც ჩა-
ცმა-დახურვის სახით ისე სურსათ-
სანაწარმის მხრივაც, რაიც დიდ სა-
ზიანოთ მოქმედებს ჯარის ფიზიკურ
ჯანმრთელობაზე. მის მაგიერ, რომ
მთელი ყურადღება იქითვე იქნეს
მიქცეული, რომელიც საუკეთესო
დასაყრდენობი ძალა სამშობლოს და-
ცვაში და მისი კეთილდღეობისა და
თავისუფლების განმტკიცებაში, რომ-
ლის სისხლითაც არა ერთხელ მორწ-
ყულა ჩვენი ქველი მტრებთან მრ-
ავლჯერ ომის დროს. მიუხედავად
ყოველივე ამისა მეტი, ჯარი დღეს
სრულს უპატრონობას განიცდის;
მას მაშველი ხელი ესაჭიროება. იგი
საჭირო მოვლა-პატრონობას მოით-
ხოვს, მაგრამ მომავალი კი არსათ-
სიანს, რისთვისაც ამ უკანასკნელ
ხანებში ჯარში ძლიერ განშირდა
მთავრობისადმი უკმაყოფილება.

დღიდან საქართველოს დამოუკი-
დებლობისა, მთავრობა მუდამ ჯარის
მოწყობა-მოვლას ლაპარაკობდა
და პატარა არწივებს შესაფერ მო-
ვლა-პატრონობას პირდებოდა, მაგრამ
საუბედუროდ სიტყვა სიტყვით დარჩა
და ჯარის მდგომარეობა არსებითად
არ გამჯობდა.

სამწუხარო და სავალალო ის არის
რომ ჩვენს მთავრობას დასჩემდა ასე-
თი რამ სენი დაპირებების აუსრუ-
ლებლობისა. ვისაც ჯარში უმსახურია
და მათი მდგომარეობა სასესებით
განუცდია, იგი აუცილებლად დამე-
თანხმება იმაზე, რომ ჯარისათვის
ყველაფერი არ კეთდება. ჯარი სუ-
ლიერ აღზრდას და განვითარებას

*) უშუალოდ ამ წარსლს, როგორც ჯარის
კაცის პირად დაკვირვების ნიმუშს.

ტრიოლეტი

(ძველ ზღაპრულად)

მოვა სიკვდილი. და სამუდამოდ დამასამარებს,
და ჩემ სიცოცხლე ვით სანთელი უმაღ გაჰქრება...
შავ დემონი მე გამიღებს საიქიოს კარებს.
მოვა სიკვდილი, და სამუდამოდ დამასამარებს...
მე მუდამ მტანჯავს, გულს მიწუხებს, შავ ფიქრთა კრება...
და მე ნაღვლიანს არაფერი აღარ მახარებს.
მოვა სიკვდილი, და სამუდამოდ დამასამარებს,
და ჩემ სიცოცხლე ვით სანთელი უმაღ გაჰქრება...

ბ. წალენჯიხელი.

მოითხოვს, რისთვისაც ყოველ ნა-
წილში ჯარებისათვის აუცილებლად
ბიბლიოთეკები უნდა არსებობდეს,
სადაც შეძლების დავაგად საკითხავი
ქართული წიგნები უნდა მოიპოვე-
ბოდეს და აგრეთვე ჟურნალ-გაზეთე-
ბიც ჯარისკაცისათვის, მაგრამ სამ-
წუხაროთ ეს ასე არ არის. მსურველ-
თათვის წერა-კითხვის საქმეც უნდა
მოეწყოს, რაც ჯერაც ვერ მოუწყე-
რიგებიათ, ანუ თუ რომელიმე ნა-
წილში შექმნეს სკოლები წერა-კითხ-
ვის იგი ორი კვირა გასტანა და დაი-
ხურა: ჯარი არ უნდა იყოს აგრეთვე
მოკლებული თანატრუსა და კინემოტო-
გრაფებს! რომელსაც ძალიან დიდი
აღმზღვრობითი მოქმედება შეუძლია
იქონიოს ჯარის ცხოვრებაში. ჯარის
კაცები თეატრში თუ მეტი არა თე-
ში 2—3-ჯერ მაინც უნდა დაიარ-
ბოდეს, რაიც ასე არ არის. რისთვი-
საც ჯარის სულიერი განვითარება
ძალიან ფერხდება და ეცემა ყაზარ-
მების კედლებს შუა. ამიტომაც,
ბევრს შეხვდებით ხოლმე სტუდენტო-
ბას და მოწაფეებს ჯარში მოსამსუ-
რეს, რომლებიც გულისტკივილით
შემოგჩივლებთ, რომ ყაზარმის კედ-
ლებმა მათზე ძალიან ცუდით იმოქ-
მედა და თითქმის ჩაკლა ყოველგვარი
მისწრაფება და წყურვილი განვითა-
რებისადმი, ვინაიდან ამისათვის ჯარში
შესაფერი ნადავლი არ არის მომზა-
დებული.

ეს გარემოება კი ყოველ ჩვენგანს
უნდა აფიქრებდეს და აგონებდეს,
რომ ჩვენი ახალი თაობის და ნორჩი
მამულიშვილების გრძნობა და მისწ-
რაფება სასტიკად კვდება ყაზარმებში
უყურადღებოდ მიტოვებული და
სრულიად უპატრონონი. ასეთის გზით
სამშობლოს ბევრი რამ აკლდება.
აკლდება შესაფერი მომზადებული და
აღმზღვრული შვილები, რომლის მთელი
ბედი ჯარში „სამსახურმა“ შეიწირა
მსხვერპლად და რომ ეს ასე არ ხდე-
ბოდეს საჭიროა ყაზარმა სკოლად იქ-
ცეს და ძველი მისი საფუძველი სრუ-
ლებით შეინგრეს და ახალი აშენდეს
ჯარის საკეთილდღეოდ და განვითა-
რების მისახწყვათ. თუ კი მთავრობა
შეეცდება ამას შესძლებს იმავე ჯარის
დახმარებით და მხურვალე მონაწი-
ლეობის მიღებით. მაგრამ ექსპერიმენ-
ტებიც რომ არავის მოუხდენია ამ
დარგში საქმეც ამას სჩივის. ყოვე-
ლივე ჩვენ მიერ ზემო ნათქვამიდან
ცხადათ სჩანს თუ ჯარი რა სულიერ
სიოზღეს და სილატაკს განიცდის.
ძალიანაც რომ უნდადეს ჯარისკაცს
განვითარების და თავისი ყოველგვარ
სულიერი მოთხოვნილებანი დაი-
კმაყოფილოს, ამა ამას როგორ შესძ-
ლებს, როდეს მთელი წყობილება
დღევანდელი ჯარისა ამის წინააღ-
დეგ არის მიმართული და თანაც
განა 20 მანეთით თვეში რისიმე გა-
კეთება შეიძლება?!

საქმელ-სასმელთან ერთად ჯარის-
კაცს სხვა მოთხოვნილებაც აქვს, რაც
ლაუკმაყოფილებელი რჩება ძალაუნე-
ბურად. ამ ნადავზე ხშირად სუსტი
ნების ჯარისკაცები სულიერად ეცე-

მიან, ყოველგვარ სისაზიზღრეს და
ძალმომრეობას ჩადიან. ვინ არ იცის
დღეს, რომ ყაზარმის ერთად-ერთი
მთავარი ბუდე ყაზარმებია.

ჯარისკაცს აქ უფრო ნაკლები შე-
ცდომა მიუძღვის, ვიდრე მის ხელ-
მძღვანელ უფროსებს, რომლებიც
სრულებით არ სჩივიან მათს ბედსა
და მათს მოთხოვნილებების დაკმაყო-
ფილებას. საქმელი, რომ საქმელია,
არის დღე რომ ყაზარმებში დაკმა-
ყოფილდე, რისთვისაც მთელი დღე
მშვიდი გიხდება ყოფნა. პურის ისეთ
საძაგელს იძლევიან, რომ იშვიათია
რომ ვისმეს კუჭმა მოინდოს, ხორ-
ცის შესახებ ხომ ლაპარაკი ზედმე-
მეტია, როცა ლობიოა მაშინ კიდევ
უჩუქესი (ლობიო კი 3—4-ჯერ არის
კვირაში).

გასაკვირია, ამ ქაშაშ პური მაინც
მოიპოვება ქალაქში და რათ არის
რომ ჯარს რაღაც უფარგის პურს
და ზოგან კიდევ გამზარ ქაღს ასაღე-
ბენ, ხოლო ფუფუნებაში მყოფ ჩი-
ნოვნიკებს კი თეთრ პურს აწვდიან.
ეს ხომ სრული უყურადღებობაა ჯა-
რის მიმართ, რაც დაუშვებელი და
მიუტოვებელია მთავრობისა. შეც-
დომები შეცდომებზე იშვება ჯარის
ცხოვრების მოგვარების საქმეში და
გასწორებას კი არავინ ფიქრობს, მას-
ზედ არავინ ზრუნავს. კარგათ ჩაუკვი-
რდით ყოველივე ამას და თქვენ მარ-
თლაც შეეცდებით საბრალო ჯა-
რის კაცის მდგომარეობა; მაშინ რა-
დესაც ის ყველაზედ უკეთეს პირობე-
ში უნდა გრძნობდეს თავს. ასეთია
არსებული პირობები ჯარისკაცის არ-
სებულ „თავისუფლების“ ხანაში,
ბევრი ვერაფერი სახარბიელო ყოფი-
ლა ჯარისკაცთა მდგომარეობა, რო-
გორც თქვენ თვით დაინახეთ.

ამის შემდეგ ნუ თუ კიდევ გაბე-
დავს და იტყვის ვინმე, რომ ისინი
უაღრესად დაზარალებულ ხალხს ინტე-
რესებისათვის მოქმედობენ და ილწ-
ვიან.

სატირელი და თანაც სასაცილოა,
რომ ეს მარტოც ცარიელ სიტყვებით
რჩება და ცხოვრებაში კი ნაკლებ
განხორციელებულია.

თითქმის ყოველ დარგს ჩვენი
ცხოვრებისა და ყოველი ნაწილის
მოხელე-მოსამსახურეს საქ. რესპ. არ
აქვს შეგნებული ნათლად და მკა-
ფიოდ საზოგადოებრივი მოვალეობა,
რისთვისაც უმეტეს შემთხვევაში მო-
ხელეები სახელმწიფოს მეტრამეო-
ბენ უარესად ვიდრე წინად და საშინ-
ლად ფლანგვენ სახელმწიფო ქონე-
ბას, რის გამოც არ შეგიძლია ადა-
მიანს გული არ გეტკინოს და ისე
უტკირო ამ გარემოებას. ასეთივე
გაფლანგვა სახელმწიფო ქონებისა
განხორციელებული და თითქმის სენათ
გარდაქცეულია სამხედრო ნაწილებ-
ში მოსამსახურე ოფიცერთა და უბ-
რალო მოხელეთა მიერ. უკუვრებ
ყოველივე ამას ადამიანი და გული
გეტკივა ასეთ უკუღმართობისაგან!
ხშირი მოვლენა არის იმის, რომ
რომელიმე ოფიცერი უფრო დანტე-
რესებულია პირად გამდიდრების სურ-

ვილით ვიდრე სამშობლოს წინაშე
მოვალეობის მოსდით და მოსლო-
ბის კეთილად ასრულებას. იფლან-
გება და იჭურჭურება მისი უფროსი და
წილებისა მის უფროსისა და თვალ-
ყურის მდევს. თანაც და მკა-
ფივინ აქცევს ყურადღებას. ყველაფერი
ეს ხდება მაშინ როდესაც ჩვენი
ცხოვრება ასე თუ ისე შემოკლებული
ხანაშია.

ვინ იცის რამდენი ასი ათასი გაი-
ფლანგა სრულებით უბრალოთ რამ-
დენიმე პირების მიერ, რომლებიც
დიდის პატივისცემით იყვენ აღჭურ-
ვლილი უფროსების მიერ. მაგრამ ყო-
ველივე ეს მიფუჩეხებული იქნა და
ასეთი პირები დღესაც საქმეში არიან
და კვლავ ძველებურად განაგრძობენ
სახელმწიფოს ყველფას.

დროა ყოველივე დანაშაულის მსჯე-
რი დაედვას, ბოროტება ამოფხვრილ
იქნეს და ყველა საპასუხისმგებო ად-
გილზე მტკიცე და ხალხის პირ-ვარა-
მის მკოდნე კაცი მოექცეს და არა
პირადი სიკეთის მოტრფილდე. ერთ-
ხელ და სამუდამოთ უნდა ყველამ
შეიგნოს, რომ ასეთი ქცევა დადუპ-
ვის კარამდი მიგვიყვანს და რომ
ეს ასე არ მოხდეს საქაროა დაუშო-
გველათ მოაპრობა ყველა დანაშა-
ვის წინააღმდეგ. ნათლიამოზა და
პატივება ბოროტების უნდა მოსპო-
ბილ იქნეს, თორემ ასე ყველაფერი
კეთილი თვით სათავეში იქნება
ჩახრჩობილი ერთი წყება შევხველ
რეაქციონერთა მიერ. დღეს არ არის
ისეთი ნაწილი სადაც ბოროტმოქმე-
დებს ადგილი არ ქონდეს. სასტიკი
პროტესტი და დასჯა უნდა იქნეს
ყველა მათზე ვინც ასეთი პირებია.
ასეთები კი ბლომთ არიან და თუ
გულით შეეცდებით მოსპობთ კიდევ
ყოველივე ამას აღარ ექნება გასაფა-
ლი მაშინ და მეტრამეობას, ქონე-
ბის გაფლანგვას და საზიზღარ სპე-
კულიანდობას ბოლო მოეღება, რო-
მელთა წყალობით სუნთქვაც კი გა-
საჭირო შეიქმნა დღეს...

და ბოლოს რა საჭიროა, რომ
დღეს სამხედრო მინისტრის განკარ-
გულებაში ურისხვი უმუშევარი გე-
ნერლები და პოლკოვნიკები იმყოფე-
ბიან, რომლებიც უმუშევრათ ფულებს
იღებენ და თვით კი განისვენებენ
უსაქმოთ. ასეთი რამ უკანონოა ძვე-
ლათ ხდებოდა ხოლო დღეს კი დაუ-
შვებელი და მიუღებელი უნდა იყოს
საქართველოში. ბოლოს მაინც შეხე-
დეთ და გაასწორეთ შეცდომები.
ჩვენი გულის ტკივილი ის არის,
რომ არ გსურთ შეიგნოთ შეცდომე-
ბი და ხალხის საკეთილდღეოთ გაას-
წოროთ იგი...

მოიქმეით მოდით ჯარისკაცთადაც
დაკმაყოფილეთ და აღადგინეთ მისი
წარმეული უფლებები. დაუბრუნეთ
მას მოსპობილი თავისუფალი მსჯე-
ლობის უფლება, თორემ უკმაყოფი-
ლება გაიზდება და თქვენი დანაშაუ-
ლებანი ძალით იქნება გასწორებუ-
ლი...

უცდით.
X-ჯ. ივ. კანდელაკი
13 მაისი
ქ. თბილისი.

